ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

1977 ივნისი 19 ივნისი № 143 (16883) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ჩვენი ხმა — რჩეულთ

დღეს ადგილობრივი საბჭომების არჩევნებია.

ახლა ეს მეტად ლაკონიური სიტყვები მრავლისმთქმელი და დიდი პოლიტიკური მოვლენის, მაღალი პასუხისმგებლობის გამომხატველია თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის. ტრადიციულად ჩვენში არჩევნები საბჭოთა დემოკრატიის ნამდვილი დემონსტრაციაა. ამიტომ არის, რომ არჩევნებს ჩვენი ხალხი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ეგებება.

ხელისუფლების ამ მასობრივი ორგანოების არჩევნები წელს ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენების ვითარებაში მიმდინარეობს. პარტია, ხალხი, თითოეული საბჭოთა მშრომელი გულითადობითა და შემოქმედებითი შემართებით ემზადება ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის. განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ, რომელიც უდიდესი თეორიული და პოლიტიკური დოკუმენტია, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის არჩევამ. ჩვენი ხალხი განიხილავს ამ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს, დოკუმენტებს, გამოთქვამს დიდ კმაყოფილებას, თავის ფიქრებს, გრძნობებს, მოსაზრებებს. მთავარი და გადამწყვეტი ახლა მაინც ის არის, რომ საბჭოთა მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ კონსტიტუციის პროექტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს და თანამედროვეობის უდიდეს მოვლენად მიაჩნიათ იგი.

დღევანდელი არჩევნების დღეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ხელდამშვენებული შეხვდნენ. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოლექტივებმა, ცალკეულმა მშრომელებმა არჩევნების აღსანიშნავად გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს და შეასრულეს კიდეც. დღეს ისინი მხრგგამართული მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემენ ღირსეულ კანდიდატებს, თავიანთ რჩეულთ, . იმათ, ვინც თავი გამოიჩინა პარტიისადმი, ხალხისადმი, სამშობლოსადმი ერთგულებითა და უანგარო სამსახურით.

საბჭოების როლისა და ავტორიტეტის სულ უფრო ამაღლებაზე მკაფიოდ მეტყველებს ის დიდი მხრუნველობა და სისტემატური ყურადღება, რასაც მათდამი იჩენენ კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი. ამის თვალსაჩინო მაგალითია სსრ კავშირის კონსტიტუციის ახალი პროექტის ბრძნული, პროგრამული დებულებები, რომლებიც დიდმნიშვნელოვან ახალ ფურცელს გადაშლის საბჭოების მოგავალი მუშაობის მთელ ისტორიაში.

ადგილობრივი საბჭოების დღევანდელი არჩევნები მათი მოღვაწეობის საყოველთაო-სახალხო დათვალიერებაა. სწორედ ამიტომ ის, ვისაც სურს ჩვენი შემდგომი წინსვლა, ქვეყნის სახალხო მეურნეობის განუხრელი განვითარება, სამამულო მეცნიერების, კულტურის შემდგომი აყვავება, ვისაც სურს, რომ მუდამ იყოს მშვიდობა და ხალხთა ბედნიერება, უდიდესი სიხარულის, კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით მივა საარჩევნო უბანში და ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, მშვიდობას, დემოკრატიას, ხალხთა ბედნიერებას.

უდავოდ ცხადია ის, რომ დღევანდელ არჩევნებში ერთხელ კიდევ მკაფიოდ და ნათლად გამოვლინდება ჩვენი ხალხის ერთსულოვნება და დარაზმულობა პარტიის გარშემო, სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების საკეთილდღეოდ.

ყველანი არჩევნებზე, ძვირფასო ამხანაგებო!

მზად არიან არჩევნებისათვის

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს ბევრმა შრომითმა კოლექტივმა უკვე უპატაკა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების შესრულება. მაგრამ მოწინავე შრომითი ვახტი კვლავ გრძელდება. საქართველოს მშრომელები ღრმად და ყოველმხრივ განიხილავენ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს, მხურვალედ იწონებენ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელმაც აღნიშნა ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალ მიჯნებზე გასვლა. ისინი ისწრაფვიან იმუშაონ უფრო მაღალნაყოფიერად, ფართოდ გაიაზრონ ბრძოლა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს დედაქალაქის მშრომელები, რომლებიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებული შეჯიბრების ავანგარდში არიან, კარგ მაგალითს იძლევიან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისიის სხდომა

□

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ასათიანმა ილაპარაკა თბილისელთა მისწრაფებაზე იმუშაონ უფრო ენერგიულად, უფრო თავდადებულად, რათა განახორციელონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, პარტიის შესანიშნავი წინასწარდასახულობანი და ახალი წარმატებებით შეხვდნენ არჩევნების დღეს.

კომისიის ბოლო სხდომა მიეძღვნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნებისათვის მზადყოფნის საკითხს.

არჩევნებისათვის მზადყოფნის შესახებ კომისიამ მოისმინა ინფორმაციები, რომლებიც გააკეთეს პირველი მაისის, ოქტომბრის, 26 კომისრისა და საქარხნო რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა ს. სხვიტარიძემ, გ. ბაკურაძემ, ი. კობახიძემ, ნ. ხომერიკმა, ორჯონიკიძის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ უ. ბეღიაშვილმა და კალინინის რაისაბჭოს მდივანმა მ. ჯოლიამ.

თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისიის წევრებმა ნ. ლეკიშვილმა და მ. თევდორაშვილმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა თბილისის ლენინისა და კალინინის რაიონებში უმაღლეს დონეზე არჩევნების მოწყობისათვის.

კომისიის წევრებმა განიხილეს საკითხი საქალაქო საარჩევნო კომისიის შენობაში არჩევნების დროს მორიგეობის შესახებ.

(საქინფორმი).

საახალხო დეპუტატთა უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ირჩევენ საიდუმლო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს ერთი ... ლოდ ერთი ხმა აქვს; ყველა ამომრჩეველი თანასწორ საფუძველზე მონაწილეობს არჩევნებში.

სსრკ კონსტიტუციის პროექტიდან.

ნ. კილაძის ფოტოსლაკატი.

ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ

ბრძნული გადაწყვეტილება

საბჭოთა ადამიანების გულისყური ამ დღეებში მიპყრობილი იყო კრემლისაკენ, სადაც საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია მიმდინარეობდა.

დიდად სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად აირჩია საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია.

ჩვენ ვიცით, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს აქვს ლენინური ტიპის საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური მოღვაწის, ორგანიზატორის უდიდესი ტალანტი, და დარწმუნებული ვართ, რომ მისი არჩევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხის, მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანების საარსებო ინტერესებს.

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა შემდინარე წლის ხუთი თვის საწარმოო დავალებები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულნი კიდევ უფრო ბეჯითად ვიმრომებთ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ვ. კუბლაშვილი,
თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ზეინკალი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი.

ვიწრონეგთ, მივესალმებით

ჩვენმა მრავალათასიანმა შრომითმა კოლექტივმა უდიდესი აღფრთოვანებით აღიქვა ცნობა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეკვესე სესიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია.

ჩვენ ვიცით, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს აქვს ლენინური ტიპის საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური მოღვაწის, ორგანიზატორის უდიდესი ტალანტი, და დარწმუნებული ვართ, რომ მისი არჩევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხის, მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანების საარსებო ინტერესებს.

ჩვენ ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა შემდინარე წლის ხუთი თვის საწარმოო დავალებები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულნი კიდევ უფრო ბეჯითად ვიმრომებთ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ვ. კუბლაშვილი,
თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ზეინკალი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი.

რევაზ მარგიანი,

პოეტი, ჟურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორი.

17–18 ივნისი

„პრავდის“ ფურცლებზე

სსრ კავშირის შეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მასალებს, რომლებსაც გაზეთი 17 ივნისის ნომერში აქვეყნებს, უკვე გაეცნენ „კომუნისტის“ მკითხველები. ამავე ნომერში გრძელდება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვისადმი მიძღვნილი თემატური გვერდების ბეჭდვა ამწალგით **„ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი“**. ამ გვერდზე წაიკითხავთ პუბლიცისტის შენიშვნებს **„ერთიან ოჯახში“**, რომლის ავტორია **ოლეს გონჩარი;** წერილში **„სრულყოფთ მართვა“** ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი **გ. ჯავადოვი** განიხილავს კონსტიტუციის პროექტის ზოგიერთ მუხლს ჩვენი ეკონომიკის მართვის ფუძემდებლური პრინციპების შესახებ.

განყოფილებაში **„არჩევნების წინ“** დაბეჭდილია კორესპონდენცია თბილისიდან, სადაც ნათქვამია, რომ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის გულმოდგინედ მოემზადნენ რესპუბლიკის ქალაქებამეულობის მუშაკები.

„დიდი შრომა გასწიეს ჩვენმა კოლექტივებმა, — განაცხადა „პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ვ. კობახიძემ, — სვანეთის, თუშეთის, რაჭის მთიან რაიონებში ვადამდე დამთავრდა ყველა საარჩევნო უბნის ტელეფონიზაცია. მათ შორის 60 უბანთან, სადაც შეუძლებელია სატელეფონო კაბელის გაყვანა, რადიოსატელეფონო კავშირი დამყარდა“.

მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტ-25-ის ტიპის ძირითადი შვეულები, გადფრენის მე-10 წლისთავს ეძღვნება საბჭოთა კავშირის გმირის **გ. ბაიდუკოვის** წერილი **„სამი პოლუსის თავზე“**.

13 ივნისის ნომერში გაზეთი განაგრძობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის. აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვის მასალების ბეჭდვას.

ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ს. ი. ბრეჟნევის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ მსოფლიო პრესის, ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. გაზეთი გამოხმაურებებს აქვეყნებს სათაურით **„ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის გამორჩენილი მებრძოლი“**.

მეითხველს უთუოდ დაინტერესებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის აკადემიკოს **ბ. პეტროვსკის** სტატია **„უძვირფასესი სიმდიდრე“**.

ПРАВДА

საბჭოთა მედიკოსების დღესასწაული

მოსკოვი

16 ივნისს საბჭოთა არმიის ცენტრალურ აკადემიურ თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა მედიცინის მუშაკის დღეს. მოხსენება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი და სახალხო ჯანმრთელობის დაცვა“, გააკეთა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა აკადემიკოსმა ბ. ვ. პეტროვსკიმ.

აქ დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. მასში გამოხატულია ის დიდი კმაყოფილება, რომლითაც ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მრეწველობის მუშაკებმა აღიქვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე მშვიდობის მედროშისა და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის არჩევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. წერილში ნათქვამია, რომ ქვეყნის მედიცინის მუშაკები მთელ თავიანთ ძალ-ღონესა და ცოდნას კვლავაც მოახმარენ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ღირსეულად მოიქცევიან თავიანთ ეალს პარტიისა და ხალხის წინაშე.

თბილისი

17 ივნისს თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მედიცინის მუშაკის დღეს მიეძღვნა.

კრება გახსნა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. გოგოძემ.

საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება „აკადემიკოსი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ი. ზედგენიძემ.

საზეიმო კრების დასასრულს ვ. სირაძე, ო. ჩერქეზია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი, რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივნები ზ. კვაჭაძე და ვ. კაპა. (საქინფორმი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებსაც ზოგიერთი ცვლილება და დამატება შეეტანთ სსრ კავშირის მოქმედ კანონმდებლობაში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

I

1977 წლის 8 თებერვლისა — „სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1977 წლის 8 თებერვლისა — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-განსწორების კანონმდებლობის საფუძვლებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1977 წლის 8 თებერვლისა — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1977 წლის 15 თებერვლისა — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებისათვის 39[1] მუხლის დამატების შესახებ“;

1977 წლის 25 თებერვლისა — „სსრ კავშირის „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების“ კანონში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ“;

1977 წლის 16 მაისისა — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლებში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“.

II

1976 წლის 30 ნოემბრისა — „სსრ კავშირის ტერიტორიაზე წყალტო ფასეულობებთან დაკავშირებულ გარიგებათა შესახებ“;

1976 წლის 30 ნოემბრისა — „უცხოურ ვალუტასთან და საგადამხდელო დოკუმენტებთან დაკავშირებული უკანონო ოპერაციებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“;

1976 წლის 10 დეკემბრისა — „სსრ კავშირის სანაპიროს ახლოსმდებარე საზღვარ რაიონებში ცოცხალი რესურსების შენარჩუნებისა და თევზჭერის რეგულირების დროებითი ღონისძიებების შესახებ“;

1977 წლის 8 თებერვლისა — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 43-ე მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებული პირების ბიმართ ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიებათა გამოყენების წესის შესახებ“;

1977 წლის 15 თებერვლისა — „არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების, არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებლებისა და უმეთვალყურეობისა და არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პროფილაქტიკის სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ძირითად მოვალეობათა და უფლებათა შესახებ;

1977 წლის 17 თებერვლისა — „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა-გამოყენების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 17 ივნისი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კ ა ნ ო ნ ი

„შავი მეტალურგიის მუშაკებისათვის მოხუცებულობის მაქსიმალური პენსიის მომატების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 13 ივნისის ბრძანებულება „შავი მეტალურგიის მუშაკებისათვის მოხუცებულობის მაქსიმალური პენსიის მომატების თაობაზე“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 17 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„ამხ. კ. თ. კატუშევის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 16 მარტის ბრძანებულება ამხ. კონსტანტინე თვალდრეს ძე კატუშევის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 17 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობის შევსების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 29 აპრილის ბრძანებულება „საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობის შევსების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 17 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სსრ კავშირის მინისტრების განთავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1977 წლის 14 იანვრისა — ამხ. ბორის პავლეს ძე ბეშჩევის პენსიაზე გასვლის გამო სსრ კავშირის გზათა მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1977 წლის 14 იანვრისა — ამხანაგ ივანე გრიგოლის ძე პაველოვსკის სსრ კავშირის გზათა მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1977 წლის 23 მარტისა — ამხ. ივანე ივანეს ძე პუდკოვის სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1977 წლის 5 აპრილისა — ამხ. ნიკოლოზ ალექსეს ძე მალცევის სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1977 წლის 3 ივნისისა — ამხ. ვასილ ალექსანდრეს ძე კაზაკოვის სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 17 ივნისი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ტყეები, ისევე როგორც სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები, ჩვენს ქვეყანაში ნაციონალიზებული იქნა და საერთო-სახალხო ქონებაში გადავიდა. „ტყის შესახებ" სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 27 (14) მაისის დეკრეტმა განსაზღვრა მთელი ხალხის საკეთილდღეოდ ტყეების გამოყენების მიზნით სტატეა მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები.

ტყის სახელმწიფოთ საკუთრება სსრ კავშირში სატყეო ურთიერთობის, — ესე იგი ტყეების გამოყენების, აღდგენისა და დაცვის დარგში საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველი და სატყეო მეურნეობის რაციონალური გაძღოლის მთავარი წანამძღვარია.

ტყე სსრ კავშირში დიდ როლს ასრულებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში, გვერდის გამომჯობესებასა და ხალხის კეთილდღეობის ფონის ამაღლებაში. ესე მერქანსა და ტყის სხვა პროდუქციაზე ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წყაროა. კეთილგაყოფილი გაფლენას ახდენს ჰაერზე, ატმოსფეროზე. მდინარეებისა და სხვა წყლის ობიექტების ჰიდროლოგიურ რეჟიმზე. იცავს ნიადაგს ძარცვისგანი და წყლისგანი ეროზიისაგან და აქვს სხვა საარგებლო ბუნებრივი თვისებები, ტყეებს სულ უფრო მეტად ეკიდებენ გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის, მოსახლეობის კულტურული და ისტორიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ამის გამო, რომ ტყის მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს და მისი გამოყენება დიდ დროს მოითხოვს, ტყის სიმდიდრეთა რაციონალური ათვისების, დაცვისა და გამრავლების საქმეს საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანის ხასიათი ენიჭება.

საბჭოთა ტყის კანონმდებლობამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ტყეების მეცნიერულად დასაბუთებულ, კომპლექსურ გამოყენებას, მათს გეგმაზომიერ აღდგენასა და ეფექტიან დაცვას ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისთვის, საბჭოთა ადამიანების აღზრდას ამ მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, რომ ყირთათიანად, მზრუნველობით მოეკყრნენ ტყეს, როგორც ჩვენი საშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დიდმნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

ქარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საბჭოთა ტყის კანონმდებლობის ამოცანები

საბჭოთა ტყის კანონმდებლობის ამოცანებია სატყეო ურთიერთობის რეგულირება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ტყეების რაციონალური გამოყენება, მათი მოვლა და დაცვა, აღდგენა და პროდუქტიულობის გადიდება მერქნისა და ტყის სხვა პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ტყის წყალდამცავი, დაცვითი, ჰავის მარეგულირებელი, სანიტარიულ-ჰიგიენური, გამაჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებების ჯასაძლიერებლად, აგრეთვე დაცვას საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებები და განმტკიცოს კანონიერება სატყეო ურთიერთობის დარგში.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობა

სატყეო ურთიერთობას სსრ კავშირში აწესრიგებენ ეს საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის ტყის კანონმდებლობის სხვა აქტები, მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კოდექსები და ტყის კანონმდებლობის სხვა აქტები.

მიწის, წყლისა და სამთო ურთიერთობას აწესრიგებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი კანონმდებლობა.

მუხლი 3. ტყის სახელმწიფო საკუთრება სსრ კავშირში

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, ტყე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში სახელმწიფო საკუთრებაა, ესე იგი მთელ ხალხს ეკუთვნის.

სსრ კავშირში ტყის ერთადერთი მესაკუთრე სახელმწიფოა და მხოლოდ სარგებლობისათვის გადაეცემა. ყოველგვარი მოქმედება, რომელიც აშკარად თუ ფარულად არღვევს ტყის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, აკრძალულია.

მუხლი 4. ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდი. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები

სსრ კავშირის ყველა ტყე ქმნის ერთიან სახელმწიფო ტყის ფონდს.

ერთიან სახელმწიფო ტყის ფონდში შედის:

1) სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები, ანუ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების გამგებლობაში შემავალი ტყეები, საქალაქო ტყეები, ნიჩაბნილი ტყეები და ნაკრძალთა ტყეები;

2) საკოლმეურნეო ტყეები, ანუ კოლმეურნეობებისათვის უვადო სარგებლობაში მიცემული მიწებზე არსებული ტყეები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებად ითვლება ტყიანი მიწები, აგრეთვე მიწები, რომლებიც ტყით არ არის დაფარული, მაგრამ განკუთვნილია სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრები, რომლებიც მათ სხვა კატეგორიათა მიწებისაგან გამოაყოფენ, განისაზღვრება დადგენილი წესით.

მუხლი 5. ხე-ბუჩქნარი, რომელიც არ შედის სახელმწიფო ტყის ფონდში

სახელმწიფო ტყის ფონდში არ შედის:

ხეები და ხეთა ჯგუფები, აგრეთვე სხვა ხე-ბუჩქნარი მცენარეულობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე;

რკინიგზების, საავტომობილო გზებისა და არხების გასწვრივ გაშენებული დამცავი ტყის ზოლები;

ხეები და ხეთა ჯგუფები, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გასაშენებელი ნარგავები, იმ მიწებზე რომლებიც არ ეკუთვნის ქალაქის ტყეებს;

ხეები და ხეთა ჯგუფები საკრძალდამო, საგვარაკო და ბაღის ნაკვეთებზე.

აღნიშნული ნარგავების გაშენება, მოვლა და გამოყენება ხდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 6. სსრ კავშირის კომპეტენცია სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში.

სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას ექვემდებარება:

1) ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდის განკარგვა;

2) ტყეების სარგებლობის, ტყის აღდგენის, პროდუქტიულობის გადიდების, მოვლა-დაცვის ძირითადი დებულებების დაწესება;

3) სსრ კავშირის ტყეკოფის ფონდის ოდენობის, მისი განაწილებისა და ზიზეირი ხის გაცემის წესის დადგენა;

4) ჩვენს სატყეო მეურნეობაი განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გამოყენების ძირითადი მიმართულებებისა და პერსპექტიული გეგმების დაწ-ება;

5) ტყის რაციონალური გამოყენების, აღდგენის, პროდუქტიულობის გადიდებისა და მოვლა-დაცვის დარგში საერთო-საკავშირო ღონისძიებათა დაგეგმვა;

6) შესაბამისი ჯგუფებისათვის ტყეების მიკუთვნებისა და ერთი ჯგუფიდან მეორეში მათი გადაყვანა წესის დადგენა;

7) სსრ კავშირისათვის ერთიანი ტყეთმოწყობის, ტყეების აღრიცხვის სისტემებისა და სახელმწიფო სატყეო კადასტრის წარმოების წესის დადგენა;

8) ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღდგენის, მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლი და მისი განხორციელების წესის დადგენა.

მუხლი 7. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში

სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას ექვემდებარება: ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდის განკარგვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე; ტყეებით სარგებლობის, ტყის აღდგენის, პროდუქტიულობის გადიდების, მოვლა-დაცვის წესის დადგენა; სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გამოყენების პერსპექტიული გეგმების დაწესება; ტყის რაციონალური გამოყენების, აღდგენის, ეროზიისწინააღმდეგ ღონისძიებათა დაგეგმვა; ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღდგენის, მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განსაზღვრული ნორმებისა და ლიმიტების ფარგლებში ტყეებიდან ხის, ნაგებობათა, ტყიანი მიწების, ბალახოვანი ფოთლოვანი ტყეებიდან ფოთლის, ბალახის, ბალიშების, ბალიშების, ბალიშების

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ფყის კანონმდებლობის საფუძვლები

(დასაბეჭდად)

ითვს ტყეებში იყენებენ ჭრის წესებს, რომლებიც ითვალისწინებს ამ ტყეების განსაკუთრებულ დაცვის, ეროზიისაწინააღმდეგო და წყალმარეგულირებელ მნიშვნელობას.

ტყის განსაკუთრებულ დამცავ უბნებში შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ აიკრძალოს პირწმინდა ტყესაკაფი ჭრა, ხოლო საპეროების შემთხვევებში — აგრეთვე მთავარი მმართველების პრის სხვა ხერხების გამოყენება.

მერქნის დამზადების წესი განისაზღვრება სსრ კავშირში ზეზეური ხეების გაცემის წესებით, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ტყის ჭრის წესები მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 24. მერქნის დამზადების ოდენობის განსაზღვრა

მთავარი სარგებლობის ჭრის წესით მერქნის დამზადება იგეგმება და ეწყობა იმ საფუძველზე, რომ დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი მერქანზე საანგარიშო ტყეკაფის ფარგლებში.

მთავარი სარგებლობის ჭრა ისეთი ოდენობით, რომელიც საანგარიშო ტყეკაფს აღემატება, დასაშვებია აუცილებელ შემთხვევებში მესამე და მეორე ჯგუფების ტყეებში იმ წესით, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს.

შუალედური სარგებლობის ჭრის დროს მერქნის დამზადების ოდენობა განისაზღვრება იმ საფუძველზე, რომ გაუმჯობესდეს ტყეების ჯანმრთელობა და ხარისხი, ხოლო სხვაგვარი ჭრის დროს მერქნის დამზადების ოდენობის განსაზღვრავს ტყის ფართობების გაწმენდის, განაკაფების შექმნის და სხვა სამუშაოთა მოცულობა.

მუხლი 25. ტყეკაფის ფონდი

ტყეკაფის ფონდს ქმნის მერქნის **დასამზადებლად განკუთვნილი** წმიდა კორომების მარაგი.

ყოველწლიურად გამოსაყოფი ტყეკაფის ფონდის ოდენობა სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმებში განისაზღვრება ცალ-ცალკე ტყეების ჯგუფების მიხედვით.

ტყეთმოსარგებლეებს (ტყის დამამზადებლებს) ტყეკაფის ფონდის ნატურით გადასცემენ (ტყეკაფს გამოუყოფენ) საწარმოება, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან.

ტყეთმოსარგებლეებისათვის ტყეკაფის ფონდის გადაცემის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის ტყეებში ზეზეური ხის გაცემის წესებით.

მუხლი 26. ტყის დამამზადებელი საწარმოებისათვის ზეზეური ხის მარაგის მიჩენა.

ტყეების გეგმაზომიერი და ხანგრძლივი სამრეწველო გამოყენების უზრუნველსაყოფად ტყის დამამზადებელ საწარმოებს მესამე და მეორე ჯგუფების ტყეებში მიჩენილი აქვთ ეკონომიკურად დასაბუთებული ვადით ზეზეური ხის მარაგი გაკაფვის ფართობზე (ხე-ტყის ნედლეულის ბაზები), აგრეთვე ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში ზეზეური ხის მარაგი ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდის სახით გადაეცემათ ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებს პირველი ჯგუფის ტყეებშიც (ნაკრძალების ტყეების, ეროვნული ან ისტორიული მნიშვნელობის ტყეების, ბუნებრივი ძეგლების, ტყეპარკების, თხილ-კაკლის სარეწაო ზონების ტყეების, ტყის ხეხილის კორომების, ქალაქის ტყეების, მწვანე ზონების, ტყეპარკის ნაწილების, წყალმომარაგების წყალიერების სანიტარიული დაცვის ზონებისა და კურორტების **სანიტარიული** დაცვის ოლქების საჰილწყიფო ტყის ზოლების, ეროზიისაწინააღმდეგო ტყეების, განსაკუთრებით ძვირფასი ტყის მასივების, ძვირფასი სარეწაო თუჯის საქვირითეების დამცავი ტყეების აკრძალული ზოლების გარდა).

ხრძელვადიანი სარგებლობის ხე-ტყის ნედლეულის ბაზები და ტყეკაფის ფონდი უწინარეს ყოვლისა გადაეცემათ ხე-ტყის მრეწველობის ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებს.

ზეზეური ხის მარაგის მიჩენისა და ათვისების წესი განსაზღვრება ტყეების ჯგუფის მიხედვით.

ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოებისათვის ზეზეური ხის მარაგის მიჩენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მერქანზე ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოები მათთვის მიჩენილ ხანგრძლივი სარგებლობის ხე-ტყის ნედლეულის ბაზებსა და ტყეკაფის ფონდში მერქნის დამზადებას ეწევიან ამ საფუძვლების 22-ე, 23-ე, 24-ე და 25-ე მუხლების წესებამისად.

ხანგრძლივი სარგებლობის ხე-ტყის ნედლეულის ბაზებისა და ტყეკაფის ფონდის მიჩენა, ხელახალი განაწილება და ჩამორთმევა ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 27. ზეზეური ხის გაცემა

ზეზეური ხე ტყეებში გაიცემა დადგენილი ნიხრით გათვალისწინებულ ფასად. ზეზეური ხე საყოველთაო მეურნეობრივ ტყეებში კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის საჭიროებისათვის უფასოდ გაიცემა.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან, თავისუფლდებიან იმ მერქნის საფასურის გადახდისაგან, რომელსაც ტყის მოვლისა და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების დროს იღებენ.

ზეზეური ხის გაცემის საფასურის გადახდის, ნახარის დადგენის, ცალკეულ შემთხვევებში ყოველგვარი ჭრისათვის გათვალისწინებული ზეზეური ხის საფასურის გადახდისაგან სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების ნაწილობრივი ან სრული განთავისუფლების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 28. ფისის დამზადების წესი

ტყეებში ფისის დამზადება შეუძლიათ მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. ფისის დამზადებისათვის საფასურის გადახდის წესს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მთავარი სარგებლობის ჭრა აკრძალება გამოფისვის ადგილის გასვლამდე იმ წლოვანად კორომებში, რომლებიც დადგენილი წესით ფისის დასამზადებლად არის განკუთვნილი, ოღნიმნული კორომების ჭრა გამოფისვამდე, აგრეთვე კორომებში გამოფისვის ადამდე შეწყვეტა, გამონაკლისის სახით, დასაშვებია წესით, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს.

მუხლი 29. მეორეხარისხოვანი ტყის მასალების დამზადების წესი

სამრეწველო გადამუშავებისათვის, ტყის სარეწრების განვითარებისა და მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის მეორეხარისხოვანი ტყის მასალების დამზადება უნდა ხდებოდეს ტყისათვის ზიანის მიუყენებლად.

მეორეხარისხოვანი ტყის მასალების დამზადების, ამ მასალებზე ნიხრის დამტკიცების ან მათი საფასურის გადახდისაგან განთავისუფლების წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 30. არაპირდაპირი ტყეთსარგებლობის წესი

არაპირდაპირი ტყეთსარგებლობა უფასოა, ხის წვენის, ყელეტის ხილის, თხილ-კაკლის, სოკოს, კენკრის და ტექნიკური ნედლეულის სარეწაო დამზადების გარდა. ოღნიმნული პროდუქციის ნიხრს აწესებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან, ყოველგვარ არაპირდაპირ ტყეთსარგებლობას უფასოდ აწორციელებენ.

ყოველგვარი არაპირდაპირი ტყეთსარგებლობა ისე უნდა ხორციელდებოდეს, რომ არ ვნებდეს ტყეს.

ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებზე თიბვა და ბალახეულის ძოვება აკრძალულია ისეთ უბნებში, სადაც ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს ტყეს.

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში სათიბ-საძოვრები, რომლებსაც სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მრეწველობის საჭიროებებისათვის არ იყენებენ, ეძლევათ კოლმეურნეობებს, სამეთოთა მეურნეობებს, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს დროებითი სარგებლობისათვის, თუ ასეთი სარგებლობა შეესაბამება სატყეო მეურნეობის ინტერესებს, სათიბ-საძოვრების გადაცემისას დაცული უნდა იყოს მიწის კანონმდებლობის მოთხოვნები.

არაპირდაპირი ტყეთსარგებლობის წესსა და პირობებს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 31. სამეცნიერო-საკვლევი მიზნებისათვის ტყეთსარგებლობის წესი

ტყეებში სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა მოსაწყობად შესაბამის საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შეიძლება გამოეყოს სპეციალური უბნები. გამოყოფილ უბნებში შეიძლება შეეზღუდოთ ან მთლიანად აეკრძალოთ ტყეთსარგებლობა სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, იგრეთვე მოქალაქეებს, თუ ეს შეუთავსებელია სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა მიზნებთან.

სამეცნიერო-საკვლევი მიზნებისათვის ტყეთსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე **რესპუბლიკების კანონმდებლობა.**

მუხლი 32. კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის ტყეთსარგებლობის წესი

მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის მიზნით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებია სატყეო-სამეურნეო საწარმოები, აგრეთვე, მათთან შეთანხმებით, სხვა საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები მწვანე ზონების ტყეებსა და მოსახლეობის დასასვენებლად გამოყენებულ სხვა ტყეებში ახორციელებენ ტყის უბნების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ღონისძიებებს ტყეგარეშოს და ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნების საჭიროების, ქალაქის გარეუბნების არქიტექტურული დაგეგმარებისა და სანიტარიული მოთხოვნების შესაბამისად.

კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის ტყეთსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 33. სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის ტყეთსარგებლობის წესი

ტყეებში ტყეთსარგებლობისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელებისას ანგარიში უნდა გაიწიოთ ნადირის ბინადრობის ხელშემწყობი პირობების შენარჩუნების აუცილებლობის.

ტყეში ნადირის რაოდენობის რეგულირება ხდება ტყის საკარგულებისათვის დასაშვები სიმჭიდროვის ფარგლებში, რათა ნადირი ზიანს არ აყენებდეს ტყისა და სოფლის მეურნეობას.

სამონადირეო მეურნეობის საჭიროებებისათვის ტყეთსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 34. ტყეთმოსარგებლთა უფლება-მოვალეობანი.

ტყეთმოსარგებლეებს უფლება აქვთ და მოვალენი არიან განახორციელონ მხოლოდ მათთვის ნებადართული ტყეთსარგებლობის ღონისძიებები.

მერქნის დამამზადებელ ტყეთმოსარგებლეებს უფლება აქვთ დადგენილ ვადაში მიიღონ ტყეკაფის ფონდი იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა საბალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების დავალებათა შესასრულებლად.

ტყეთსარგებლობის სახეობის მიხედვით ტყეთმოსარგებლეებს უფლება აქვთ დადგენილი წესით გაიყვანონ გზები, მოაწყონ მოედნები ტყის პროდუქციის შესანახად, ააშენონ საწარმოო და სამეურნეო ნაგებობანი, დააყენონ დასამორი და მერქნის გადასამუშავებელი მოწყობილობა და სამარჯვები, მოაწყონ ტრანსპორტის სადგომები. და ა. შ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტყეთმოსარგებლეებს შეიძლება შეეზღუდოთ უფლებები სახელმწიფო ინტერესებისათვის, აგრეთვე სხვა ტყეთმოსარგებლეთა ინტერესებისათვის.

აკრძალულია ტყეთსარგებლობა უშრომელი შემოსავლის მისაღებად.

ტყეთმოსარგებლეთა დარღვეული უფლებები უნდა აღდგეს, ხოლო მათთვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდეს ამ საფუძვლებით და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ტყეთსარგებლობის სახეობისდა მიხედვით ტყეთმოსარგებლენი მოვალენი არიან:

რაც შეიძლება სრულად და რაციონალურად გამოიყენონ მათთვის გადაცემული ტყეკაფები, გამოსაფისად გამოყოფილი ტყის ნარგავები, ტყის სათიბები და სხვა ტყის საკარგულები;

არ მიატოვონ ჭრადაწყვეტილი ტყეკაფები, აგრეთვე არ დატოვონ დამზადებული მერქანი ჭრის ადგილებზე და ტყეში მისი დაგროვებისა და გატანის ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის ტყეებში ზეზეური ხის გაცემის წესებით;

აწარმოონ სამუშაოები ისეთი ხერხებით, რომლებიც არ გამოიწვევს ნიადაგის ეროზიას, გამორიცხავს ან შეზღუდავს ტყეთსარგებლობის უარყოფითს გავლენას ტყეების მდგომარეობასა და აღდგენაზე, აგრეთვე წყალსატევებისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების მდგომარეობაზე;

დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების წესები, განახორციელონ სამეშაოთა მოწყობის ადგილებში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, ხოლო ტყის ხანძრის გაჩენის შემთხვევაში — ჩააქრონ იგი;

არ დაუშვან მერქნის დანაკარგები, სამასალე მერქნის საშეშედ გადაყვანა, აგრეთვე სამასალე მერქნის არადანიშნულებისამებრ ხარჯვა;

გაწმინდონ ტყეკაფები ნარჩენებისაგან და თავიანთი სახსრებით მოიყვანონ დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის შესაფერის მდგომარეობაში ტყეთსარგებლობის შედეგად დარღვეული მიწის ნაკვეთები;

შეასრულონ სხვა მოთხოვნები, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის ტყეებში ზეზეური ხეების გაცემის წესებითა და ტყის ჭრის წესებით.

სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის სახელმწიფო ორგანო ამ საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრავს ყველა ხე-ტყის დამამზადებლისათვის საკალდებულო ტექნიკურ პოლიტიკას, რომელიც დაფუძნებულია პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების, მანქანებისა და მექანიზმების გამოყენებაზე.

მუხლი 35. მოქალაქეთა ყოფნა ტყეში

მოქალაქეებს უფლება აქვთ თავისუფლად იარონ ტყეში, მოკრიფონ კენკრა ხილი, თხილ-კაკალი, სოკო, კენკრა და ა. შ.

მოქალაქენი მოვალენი არიან დაიცვან ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების წესები, არ დაუშვან ხის და ბუჩქების მტვრევა და უნებართვო გაჩეხა, ტყის კულტურების დაზიანება, ტყეების დანგრევა, ჭიანჭველისა და ჩიტის ბუდეების გაჩანგება და ა. შ.

მოქალაქეთა ტყეში ყოფნა, ველური ხილის, თხილ-კაკლის, სოკოს, კენკრისა და ა. შ. შეგროვება შეიძლება შეიზღუდოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახანძრო უსაფრთხოების, თხილ-კაკლის სარეწაო, ტყის ხილის, ან ტყის სათესლე მეურნეობის გაძღოლის ინტერესებისათვის, ხოლო ნაკრძალების ტყეებსა და სხვა ტყეებში— ამ ტყეებში მოქმედი ტყეთსარგებლობის სპეციალური წესის შესაბამისად.

მუხლი 36. საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყეთსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყეთსარგებლობის უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ წყდება შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

1) თუ ადარ სჭირდებათ ტყეთსარგებლობა;

2) თუ გაუვიდათ ტყეთსარგებლობის ვადა;

3) თუ გაუქმდა საწარმო-ორგანიზაცია ან დაწესებულება.

საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ტყეთსარგებლობის უფლება შეიძლება შეუწყდეთ აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები ან სხვა ტყიანი მიწები ჩამოერთმევათ სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ან, თუ ტყეთსარგებლობა არ შეესაბამება ტყესაჭრელი ბარათით (ორდერით) ან ტყის ბარათით გათვალისწინებულ მიზნებს და მოთხოვნებს.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს აგრეთვე საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყეთსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებს.

მუხლი 37. მოქალაქეთა ტყეთსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი

მოქალაქეთა ტყეთსარგებლობის უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ წყდება შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

1) თუ მოქალაქემ თავისი ნებით თქვა უარი ტყეთსარგებლობაზე;

2) თუ გაუვიდა ტყეთსარგებლობის ვადა;

3) თუ ტყეთსარგებლობა არ შეესაბამება ტყესაჭრელი ბარათით (ორდერით) ან ტყის ბარათით გათვალისწინებულ მიზნებს და მოთხოვნებს.

მოქალაქეებს ტყეთსარგებლობის უფლება შეიძლება აგრეთვე შეუწყდეთ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები ან სხვა ტყიანი მიწები გადაეცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს აგრეთვე მოქალაქეთა ტყეთსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლები.

მუხლი 38. ქალაქის ტყეებში ტყეთსარგებლობის თავისებურებები

ქალაქის ტყეები გამოიყენება უწინარეს ყოველისა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისა და მოსახლეობის დასვენებისათვის.

მერქნის დამზადება მთავარი სარგებლობის ჭრის წესით, ფისისა და ხის წვენის დამზადება ქალაქის ტყეებში აკრძალულია.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით ქალაქის ტყეებში შეიძლება აკრძალული იყოს აგრეთვე სხვა სახეობის ტყეთსარგებლობა, თუ იგი შეუთავსებელია კულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებასა და მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციასთან.

ამ მიზნის დებულებები გრცელდება აგრეთვე ისეთი დასახლებული პუნქტების ტყეებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკებია კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქის ტიპის დასახლების კატეგორიას მიეკუთვნება.

მუხლი 39. მიჩენილ ტყეებში ტყეთსარგებლობის თავისებურებები

იმ უწყება-სამინისტროთა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ტყეები მათთვის დაკისრებული სამეცნიერო, სასწავლო და სხვა ამოცანებია შესასრულებლად უპირატესი უფლება ეძლევათ განახორციელონ ამ ტყეებში დადგენილი წესის მიხედვით შესაბამის სახეობათა ტყეთსარგებლობა.

მიჩენილ ტყეებში შეიძლება შეიზღუდოს ან მთლიანად აიკრძალოს სხვა საწარმო-ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, აგრეთვე მოქალაქეთა ტყეთსარგებლობა, თუ ეს შეუთავსებელია ტყეების მიჩენის მიზნებთან.

ტყეების მიჩენის წესს, აგრეთვე მიჩენილ ტყეებში ტყეთსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 40. ტყეთსარგებლობის შეზღუდვა ნაკრძალების ტყეებში

ნაკრძალების ტყეებში აკრძალულია მთავარი სარგებლობის ჭრა, ფისის დამზადება, აგრეთვე ნაკრძალობის მიზნებთან შეუთავსებელი სხვა სახეობის ტყეთსარგებლობა.

ნაკრძალების ტყეებში ტყეთსარგებლობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 41. საკოლმეურნეო ტყეებში ტყეთსარგებლობის თავისებურებები

ტყეთსარგებლობას საკოლმეურნეო ტყეებში ეწევიან უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობები და კოლმეურნეები.

კოლმეურნეობები (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო-სამეურნეო ორგანიზაციები) საკოლმეურნეო ტყეებში ყველა სახეობის ტყეთსარგებლობას საზოგადოებრივი მეურნეობის საჭიროებებისათვის უფასოდ ეწევიან. კოლმეურნეობის წევრები ამ ტყეებში ტყეთსარგებლობას ახორციელებენ შეღავათიანი პირობებით ან უფასოდ.

მერქანზე ან სხვა ტყის პროდუქციაზე კოლმეურნეობას საზოგადოებრივი მეურნეობის მოთხოვნილებისა და კოლმეურნეთა საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ კოლმეურნეობას შეეძლია ტეყეთსარგებლობის უფლება მისცეს სხვა ტყეთმოსარგებლეებს. საკოლმეურნეო ტყეებში ამ ტყეთმოსარგებლეთა მიერ დამზადებული პროდუქციის საფასურს კოლმეურნეობა მათ ანდგენენებს სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებისათვის დაწესებული ნიხრის მიხედვით. საკოლმეურნეო ტყეებში ტყეთსარგებლობით მიღებული სახსრები ხმარდება სატყეო მეურნეობის გაძღოლას.

მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეიძლება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებებია ან რწმუნებულთა კრებების თანხმობით საკოლმეურნეო ტყეები მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცეს ახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებია შემადგენლობაში.

მუხლი. 42. სასაზღვრო ზონაში ტყეთსარგებლობის თავისებურებები

სასაზღვრო ზონაში ტყეთსარგებლობა ხორციელდება ამ საფუძვლებითა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ახვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასაზღვრო ზონაში ტყეთსარგებლობის თავისებურებებს იდგენენ კომანდანტური ორგანოები სასაზღვრო ჯარების საოდლობასთან შეთანხმებით.

მუხლი 43. ტყეთსარგებლობის გამო დავის გადაწყვეტის წესი

ტყეთსარგებლობის გამო საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შორის წამოჭრილ დავას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით წყვეტენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

ტყეთმოსარგებლეთა ტყეებზე ან ტყეებში ტყეთსარგებლობის **ულარყოფოს** გავლენას ტყეების მდგომარეობასა და აღდგენაზე, აგრეთვე წყალსატევებისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების მდგომარეობაზე;

დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების წესები, განახორციელონ სამეშაოთა მოწყობის ადგილებში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, ხოლო ტყის ხანძრის გაჩენის შემთხვევაში — ჩააქრონ იგი;

არ დაუშვან მერქნის დანაკარგები, სამასალე მერქნის საშეშედ გადაყვანა, აგრეთვე სამასალე მერქნის არადანიშნულებისამებრ ხარჯვა;

გაწმინდონ ტყეკაფები ნარჩენებისაგან და თავიანთი სახსრებით მოიყვანონ დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის შესაფერის მდგომარეობაში ტყეთსარგებლობის შედეგად დარღვეული მიწის ნაკვეთები;

შეასრულონ სხვა მოთხოვნები, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის ტყეებში ზეზეური ხეების გაცემის წესებითა და ტყის ჭრის წესებით.

სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის სახელმწიფო ორგანო ამ საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრავს ყველა ხე-ტყის დამამზადებლისათვის საკალდებულო ტექნიკურ პოლიტიკას, რომელიც დაფუძნებულია პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების, მანქანებისა და მექანიზმების გამოყენებაზე.

მუხლი 35. მოქალაქეთა ყოფნა ტყეში

მოქალაქეებს უფლება აქვთ თავისუფლად იარონ ტყეში, მოკრიფონ კენკრა ხილი, თხილ-კაკალი, სოკო, კენკრა და ა. შ.

მოქალაქენი მოვალენი არიან დაიცვან ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების წესები, არ დაუშვან ხის და ბუჩქების მტვრევა და უნებართვო გაჩეხა, ტყის კულტურების დაზიანება, ტყეების დანგრევა, ჭიანჭველისა და ჩიტის ბუდეების გაჩანგება და ა. შ.

მოქალაქეთა ტყეში ყოფნა, ველური ხილის, თხილ-კაკლის, სოკოს, კენკრისა და ა. შ. შეგროვება შეიძლება შეიზღუდოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახანძრო უსაფრთხოების, თხილ-კაკლის სარეწაო, ტყის ხილის, ან ტყის სათესლე მეურნეობის გაძღოლის ინტერესებისათვის, ხოლო ნაკრძალების ტყეებსა და სხვა ტყეებში— ამ ტყეებში მოქმედი ტყეთსარგებლობის სპეციალური წესის შესაბამისად.

მუხლი 36. საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყეთსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყეთსარგებლობის უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ წყდება შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

1) თუ ადარ სჭირდებათ ტყეთსარგებლობა;

2) თუ გაუვიდათ ტყეთსარგებლობის ვადა;

3) თუ გაუქმდა საწარმო-ორგანიზაცია ან დაწესებულება.

საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ტყეთსარგებლობის უფლება შეიძლება შეუწყდეთ აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები ან სხვა ტყიანი მიწები ჩამოერთმევათ სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ან, თუ ტყეთსარგებლობა არ შეესაბამება ტყესაჭრელი ბარათით (ორდერით) ან ტყის ბარათით გათვალისწინებულ მიზნებს და მოთხოვნებს.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს აგრეთვე საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყეთსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებს.

მუხლი 37. მოქალაქეთა ტყეთსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი

მოქალაქეთა ტყეთსარგებლობის უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ წყდება შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

1) თუ მოქალაქემ თავისი ნებით თქვა უარი ტყეთსარგებლობაზე;

2) თუ გაუვიდა ტყეთსარგებლობის ვადა;

3) თუ ტყეთსარგებლობა არ შეესაბამება ტყესაჭრელი ბარათით (ორდერით) ან ტყის ბარათით გათვალისწინებულ მიზნებს და მოთხოვნებს.

მოქალაქეებს ტყეთსარგებლობის უფლება შეიძლება აგრეთვე შეუწყდეთ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები ან სხვა ტყიანი მიწები გადაეცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს აგრეთვე მოქალაქეთა ტყეთსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლები.

მუხლი 38. ქალაქის ტყეებში ტყეთსარგებლობის თავისებურებები

ქალაქის ტყეები გამოიყენება უწინარეს ყოველისა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისა და მოსახლეობის დასვენებისათვის.

მერქნის დამზადება მთავარი სარგებლობის ჭრის წესით, ფისისა და ხის წვენის დამზადება ქალაქის ტყეებში აკრძალულია.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით ქალაქის ტყეებში შეიძლება აკრძალული იყოს აგრეთვე სხვა სახეობის ტყეთსარგებლობა, თუ იგი შეუთავსებელია კულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებასა და მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციასთან.

ამ მიზნის დებულებები გრცელდება აგრეთვე ისეთი დასახლებული პუნქტების ტყეებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკებია კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქის ტიპის დასახლების კატეგორიას მიეკუთვნება.

მუხლი 39. მიჩენილ ტყეებში ტყეთსარგებლობის თავისებურებები

იმ უწყება-სამინისტროთა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ტყეები მათთვის დაკისრებული სამეცნიერო, სასწავლო და სხვა ამოცანებია შესასრულებლად უპირატესი უფლება ეძლევათ განახორციელონ ამ ტყეებში დადგენილი წესის მიხედვით შესაბამის სახეობათა ტყეთსარგებლობა.

მიჩენილ ტყეებში შეიძლება შეიზღუდოს ან მთლიანად აიკრძალოს სხვა საწარმო-ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, აგრეთვე მოქალაქეთა ტყეთსარგებლობა, თუ ეს შეუთავსებელია ტყეების მიჩენის მიზნებთან.

ტყეების მიჩენის წესს, აგრეთვე მიჩენილ ტყეებში ტყეთსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 40. ტყეთსარგებლობის შეზღუდვა ნაკრძალების ტყეებში

ნაკრძალების ტყეებში აკრძალულია მთავარი სარგებლობის ჭრა, ფისის დამზადება, აგრეთვე ნაკრძალობის მიზნებთან შეუთავსებელი სხვა სახეობის ტყეთსარგებლობა.

ნაკრძალების ტყეებში ტყეთსარგებლობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 41. საკოლმეურნეო ტყეებში ტყეთსარგებლობის თავისებურებები

ტყეთსარგებლობას საკოლმეურნეო ტყეებში ეწევიან უწინარეს ყოველისა კოლმეურნეობები და კოლმეურნეები.

კოლმეურნეობები (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო-სამეურნეო ორგანიზაციები) საკოლმეურნეო ტყეებში ყველა სახეობის ტყეთსარგებლობას საზოგადოებრივი მეურნეობის საჭიროებებისათვის უფასოდ ეწევიან. კოლმეურნეობის წევრები ამ ტყეებში ტყეთსარგებლობას ახორციელებენ შეღავათიანი პირობებით ან უფასოდ.

**მერქანზე ან სხვა ტყის პროდუქციაზე კოლმეურნეობას საზოგადოებრივი მეურნეობის მოთხოვნილებისა და კოლმეურნეთა საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ კოლმეურნეობას შეეძლია ტეყეთსარგებლობის უფლება მისცეს სხვა ტეყეთმოსარგებლეებს. საკოლმეურნეო ტყეებში ამ ტეყეთმოსარგებლეთა მიერ დამზადებული პროდუქციის საფასურს კოლმეურნეობა მათ ანდგენენებს სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებისათვის დაწესებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

საანგარიშო ტყეკაფი ხანგრძლივი პერიოდის მთავარი სარგებლობის ჭრის მიხედვით აღირიცხება სატყეო მეურნეობის ყოველ საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, ცალ-ცალკე ტყეთა ჯგუფებისა და მეურნეობების (ტყეწყვანი, მაგარი და რბილი ჯიშის ფოთლოვანი) მიხედვით, და განისაზღვრება ოლქის, მხარის, რესპუბლიკის მიხედვით. საანგარიშო ტყეკაფის დამტკიცების წესს აღგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ტყეთმოწყობას ყველა ტყეში ეწევიან სახელმწიფო ტყეთმომწყობი საწარმოები სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით, რომელსაც სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანო აღგენს.

ქარი VI

პასუხისმგებლობა ტყის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 50. პასუხისმგებლობა ტყის კანონმდებლობის დარღვევისათვის

ტყეთსარგებლობის უფლების თვითნებური გადაცემა, აგრეთვე სხვა გარიგებები, რომლებიც პირდაპირი თუ ფარული ფორმით არღვევს ტყის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილად ითვლება.

პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით აღნიშნულ გარიგებათა დადებაში, აგრეთვე იმაში, რომ:

უკანონოდ გაჩეხეს და დააზიანეს ხეები და ბუჩქნარი;

მოსპეს ან დააზიანეს ტყეები ცეცხლის გაჩენის ან ცეცხლისადმი დაუდევრობის შედეგად;

დაარღვიეს ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;

დააზიანეს ტყეები ჩამდინარე წყლებით, ქიმიური ნივთიერებებით, სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ნარჩენებითა და ამონაფრქვევებით, და განსაზღვრება ოლქის, მხარის, რესპუბლიკის მიხედვით. საანგარიშო ტყეკაფის დამტკიცების წესს აღგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ტყეთმოწყობას ყველა ტყეში ეწევიან სახელმწიფო ტყეთმომწყობი საწარმოები სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით, რომელსაც სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანო აღგენს.

ქარი VII

სამართალშორის ხელშემკრულებები და შეთანხმებები

მუხლი 51. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

იმ შემთხვევებში, როცა საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც სსრ კავშირი მონაწილეობს, დადგენილია სხვა წესები, ვიდრე ისინი, რომლებსაც ს